მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს. ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	
მ.	მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	
5	2 50	1 25	— 50	თფილისში.
6	3 —	1 50	— 60	თბილ. გარ.
10	5 —	3 —	1 —	საზღ. გარ.

ქალაქ ვლოცლავსკის პოლიციმეისტერი მოჰკლეს.

ლოძაში მესამე ნაწილის მართველობა იწვის.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ.

ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 48 — პარასკევი, 4 აგვისტო, 1906 წ. თბილისი — № 48

პროგრამმა მინიმუმი, გაფიცვის თავისუფლება, 8 საათის სამუშაო დღე, კონსტიტუცია და მატრაკვეცები პარლამენტში.

სოციალ-დემოკრატიის პროგრამმა-მინიმუმი, ე. ი. უმცირესი მოთხოვნილებანი, ბურჟუა დემოკრატიის პროგრამმა მაქსიმუმს, ე. ი. უდიდეს მოთხოვნილებას წარმოადგენს. როდესაც სოციალ-დემოკრატია პროგრამმა მინიმუმისთვის იბრძვის, ის მაშინ ბურჟუაზიული მოთხოვნილებებისთვის, ბურჟუაზიული იდეალებისთვის იბრძვის. თუ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიულ კლასებს შორის სრული ანტაგონიზმია, მაშინ მათი პროგრამებ-ც ანტაგონისტური უნდა იყვნენ. მიუხედავად ამისა დიალექტიკის ასწაულთ-მომქმედი ჯოხის პატრონი სოციალ-დემოკრატია ახერხებს ბურჟუაზიის და პროლეტარიატის პრაქტიკულ, ცხოვრების ანტაგონიზმის თეორიაში შერიგებას, ალბათ ეს უმაღლესი პოლიტიკური სიბრძნეა იმ ვითომდა სოციალისტური პარტიის ან ღრმა სინტეზი, მისი დიალექტიკური ფილოსოფიისა...

მაგრამ საქმე ამაში არ არი!; საქმე იმაშია რომ სოციალური პროგრამმა წინასწარ განზრახული ტრაქტატია, პირობებია იმ ზავის, რომელიც უნდა მოჰყვეს სოციალურ ბრძოლას, სოციალური ბრძოლას კი, როგორც ყველა ძალის კითხვას, აქვს შედეგად დამარცხება ერთ-ერთ მებრძოლისა, ამ დამარცხების შემდეგ კი პირობას უდებს და მიაღებინებს მძლეველი და არა ძლეული, მაშასადამე თუ პროლეტარიატი გაიმარჯვებს, მაშინ მინიმუმსაც არ დასჯერდება, რადგან პირობების დამავალებელი და ტონის მიმცემი პროლეტარიატი იქმნება...

ბურჟუაზიამ სოციალ-დემოკრატიული პროგრამმა მინიმუმი ინგლისში სოციალ-დემოკრატიის დაუკუთხავათ და დაუხმარებლად განახორციელა (მიუხედავად იმისა რომ ინგლისის ბურჟუაზიულ პოლიტიკურ სპილოს გაუჩნდა სოციალ დემოკრატიული ჭიანჭველა და ეხმარება, როგორც ნამდვილი პოლიტიკური მატრაკვეცა იმ უზარმაზარ ბურჟუაზიული ნაგავის გადაბრუნებაში, რომელსაც პროგრამმა მინიმუმი ჰქვია: ამ დღეებში ინგლისის ბურჟუაზიამ გაფიცვების თავისუფლების დასაყვანად მასალა მოამზადა და ვეირ-გარდი ეხმარებოდა მათ.

ამგვარივე მდგომარეობაა სხვა ევროპის სახელმწიფოებშიც...

ეხლა იბადება კითხვა, სპარსეთის სოციალ-დემოკრატიამ (?) რა მონაწილეობა მიიღო სოციალ-დემოკრატიულ მინიმუმის განხორციელებაში შაჰის სამფლობელოში?

ან რა მონაწილეობა მიიღო ს.-დემოკრატიამ ინგლისში 8 საათის სამუშავო დღის განხორციელებაში? ამბობენ არაფერიო...

ბურჟუაზია პარლამენტში, თავის ბურჟუაზიულ დაწესებულებაში ანხორციელებს ბურჟუაზიულ პროგრამმას, რადგან მან ქუჩაში გამარჯვებით მოიპოვა თავისი პარლამენტი, სოციალისტური პარტია კი უნდა ცდილობდეს ქუჩაში გამარჯვების შემდეგ განახორციელოს თავისი სოციალისტური პროგრამმა სოციალისტურ ორგანიზაციაში.

მაშასადამე **სოციალისტური პარტია პარლამენტში ნამდვილი პოლიტიკური მატრაკვეცაა.**

F. La Flamme.

სოციალ-დემოკრატ დეპუტატის სვიმონ წერეთლის „ფორმულიარული სია“ *).

IV.

მათ მაღალკეთილშობილებას ბ-ნ დუშეთის მაზრის უფროსს

დუშეთის საპყრობილის ტუსაღის მღვდელი სიმონ წერეთლის

თხოვნა.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, შრომა გასწიეთ და შემატყობინეთ, რანაირი ბრძანება გასცა დუშეთის მაზრის ჯარების უფროსმა ჩემი თხოვნის გამო, შესახებ იმისა, რომ საშაბუ-

*) იხილე „მუშა“ ნომერი 47.

ფელეტონი

თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(პ. კროპოტკინისა.)

(გაგრძელება *)

VII.

როგორი პოზიცია უჭირავს ანარქიზმს მეცხრამეტე საუკუნის დიად გონებრივ მოძრაობაში?

ამ კითხვაზე პასუხს ზოგ ნაწილათ უკვე იძლევა ყველა ზევით ნათქმული. ანარქიზმი არის ისეთი მსოფლიო მხედველობა, რომელიც ემყარება მოვლენების თანამედროვე მექანიკურ **) გაგებას და შეიცავს მთელ ბუნებას და, მაშასადამე, ადამიანის საზოგადოებათა ცხოვრებას და მათ ეკონომიურსა, პოლიტიკურსა და ზნეობრივ ამოცანებსაც. მოკვლევათა მისი მეთოდი—ეს უტყუარ ბუნებრივ მეცნიერებათა მეთოდია: მან უნდა შეამოწმოს ყოველი მეცნიერული დასკვნა. მისი მისწრაფებაა—აგებულ იქმნას სინტეტიური ფილოსოფია, რომელიც უნდა იტევდეს ბუნების ყველა მოვლენებს, მაშასადამე, საზოგადოებათა ცხოვრებასაც, მხოლოთ შორს უნდა იდგეს იმ შეცდომებიდან, რომლებშიაც ჩაეფლენ კონტი და სპენსერი სემოხსენებული მიზეზებით.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ცხოვრების უმეტეს კითხვებზე ანარქიზმი იძლევა სხვაგვარ პასუხს და უჭირავს სულ სხვა პოზიცია, ვიდრე ყველა პოლიტიკურსა და აგრეთვე ზოგ სოციალისტურ პარტიებს, რომელთაც კიდევ ვერ უღალატეს წინანდელ მეტაფიზიკურ ფიქციებს.

რასაკვირველია, სრულ მექანიკურ მსოფლიო მხედველობის შემუშავება ძლივს არის დაწყებული მისს სოციალისტურ ნაწილში, რომელიც ეხება საზოგადოებათა ცხოვრებას და განვითარებას, მაგრამ რაც უკვე გაკეთებულია, მას უეჭველათ აჩნია ხანდახან, თუმცა და შეგნებულათ არა, ნაჩვენები ხასიათის ბეჭედი. უფლობის ფილოსოფიის დარგში, ზნეობის თეორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ხალხთა ისტორიაში და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ისტორიაში ანარქიზმმა გვიჩვენა, რომ ის ვერ დაკმაყოფილდება მეტაფიზიკური დასკვნებით, და იწყებს ბუნებრივ-მეცნიერული საფუძვლის ძიებას. ის უარჰყოფს ჰეგელის, შელინგის და კანტის მეტაფიზიკას, რომისა და კათოლიკურ უფლების კომენტატორებს, სახელმწიფოებრივ უფლების თეორეტიკოსებს, მეტაფიზიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, და ცდილობს ბუნებისმეტყველის თვალხედვითი ისრით მოფინოს ნათელი ყველა იმ კითხვებს, რომლებიც წამოყენებულია ცოდნის ამ დარგში იმ მრავალი შრომით, რაიცა გამოიღეს ამ უკანასკნელი ოცდაათი თუ ორმოცი წლის განმავლობაში.

და როგორც ეხლა მატერიალისტური ფილოსოფია უარყოფს მეტაფიზიკურ წარმოდგენას მსოფლიო სულიერებაზე (духъ), ბუნების შემოქმედებითი ძალაზე, ნივთიერების სასიყვარულო მიმზიდველობაზე, იდეის ხორცშესხმაზე, ბუნების მიზანზე, გამოუცნობელზე (непознаваемый), კაცობრიობაზე, სულათ ქცეული არის (бытie) აზრით, და სხვ., და როგორც ნორჩ ზოგად აზრებს თარგმნიან ფაქტების ნივთიერ (კონკრეტულ) ენაზე, სწორეთ ასე ვიქცევით ჩვენც, როცა საზოგადოებრივ ცხოვრების ფაქტებთან გვაქვს საქმე.

როცა ბუნების-მეტყველების მეტაფიზიკოსები ცდილობენ დაარწმუნონ ბუნების-მეტყველი, რომ ადამიანის ფსიხიკური ცხოვრება ვითარდება სულიერების (Духъ) რაღაცა „იმანენტური კანონებით“, ის მხრებს იწევს მაღლა და განაგრძობს ცხოვრებითი, გონებითი და გრძნობითი მოვლენების ფიზიოლოგიურ შესწავლას, მისი მიზანია დაგვანახვოს, რომ ისინი (ე. ი. მოვლენები) წარმოადგენენ ქიმიურ და ფიზიკურ პროცესებს. ის ცდილობს აღმოაჩინოს მათი ბუნებრივ-მეცნიერული კანონები. სწორეთ ასე, როცა ანარქისტებს ეუბნებიან, რომ, მაგალითად, ყოველნაირი განვითა-

*) იხილე მუშა № 41.

**) უფრო მართალი იქნებოდა, რომ ეხმარა სიტყვა „კინეტიური“, მაგრამ ეს ტერმინი არ არის ყველას მიერ ცნობილი. ავტორი.

რის მრევლის მცხოვრებლებს ჩემ სასარგებლოდ გადახდის ფული, და თუ ბრძანება იყო გაცემული, რა გააკეთა ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა?

მღვდელი სიმონ წერეთელი.

2 მარტი, 1906 წ.

წარწერა: „გადაეცა ბაზალეთის ბოქაულს დამატებით შესასრულებლად. 4 მარტი, 1906 წ. № 521“.

—

V.

ბ-ნ მაზრის უფროსს.

მღვდელი სიმონ წერეთლის

თხოვნა.

საშაბუროს მრევლის მცხოვრებლებმა ვალად იდეს გადამ-ხადონ 1905 წ. შტატის დებულებით 220 მანეთი; ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბრძანება გასცეთ, რომ ეს ფული მოაგროვონ ჩემ სასარგებლოდ. ამასთან მაქვს პატივი გამოგცხადოთ, რომ ამის შესახებ შესაფერი ბრძანება დიდი ხანია გასცა დუშეთის მაზრის ჯარების უფროსმა, მაგრამ დღემდის შესრულებულ არ იქმნა. 24 მარტი 1907 წ.

მღვდელი სიმონ წერეთელი.

წარწერა: „გადაეცა ბაზალეთის ბოქაულს. 24 მარტი, 1906 წ. № 626“.

ახალი ამბავი

—

დილის ოთხ საათზედ 3 აგვისტოს თბ. სათავად-აზნაურო გიმნაზიისს ახალ შენობაზე (ვერაზე) მოვიდა 1 ნაწილის ბოქაული რომელსაც მოყვა ჯარის-კაცები და პოლიციელები. შენობის გამგეს დ. დუმბაძეს ბოქაულმა გაზოუცხადა რომ ის გამოგზავნილი თბ. გენ. გუბერნატორი მიერ შენობის გასაჩხრეკათ. ვინემ შენობის გაჩხრეკას დაიწყებდნენ დუმბაძეს მოსთხოვეს სია მოსამსახურეთა და მუშებთა, რომლებიც შენობაზედ იყოფებიან და ამის შემდეგ დაიწყეს ჩხრეკა. თუმცა ვერაფერი ვერ იპოვეს, მაგრამ წაიყვანეს დასატუსაღებლად ერთი მუშა **სანდრო მარჯანიძე**. შენობის ჩხრეკა გაგრძელდა 3—5-საათამდის.

— როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ი. ე. გამყრელიძეს მოსვლია ორი წერილი. ერთი უსახელო, რომელშიაც სთხოვენ 2,000 მანეთს და მეორე 21 კაცისაგან სელმოწერილი, სადაც სთხოვენ 1,000 მან.

— როგორც გადმოგვცეს თბილისის სამხედრო საავადმყოფოდან გამოუტანიათ 4 ივლისს, გიმნაზიაში მომხდარ უბედურების დროს დაჭრილნი მესხიშვილი და აბულაძე. უკანასკნელი ჯერ-ჯერობით კიდევ ძლიერ ავათ არის. მესხიშვილი სახლში თავიშველი და თიბ‍ქმის ფეხშიშველი მისულა

— რკინის გზის უფროსის ნეიგებაუერის თავმჯდომარეობით 31 ივლისს, გადაუწყვეტიათ, რომ სახალხო მატარებლებს გააყოლონ კომენდანტი ოფიცრები, რომლის განკარგულებაშიაც იქნებიან რამდენიმე შეიარაღებული სალდათნი. ამგვარ კომენდანტს უფლება ექნება მგზავრების გაჩხრეკაზე და ბილეთების გასინჯვაზეც ამასვე ექვემდებარებიან მატარებლის მსახურნიც.

— გამოვიდა ახალი სურათებიანი იუმორისტული ჟურნალი „ყვავილა“ რედაქტორ-გამომცემელი მამსუროვია. ჟურნალში უფრო ყურადღებას იპყრობს სურათი „რედაქტორის მოლოდინში.“

— გენერალ-გუბერნატორის კანცელარია ქალაქის თავის თხოვნაზე ცეხგაუზის გამგეს შეიარაღებია გამო, შეეკითხა ქალაქის თავს რა გვარი იარაღით სურთ შეიარაღონ გამგე, რომ შესაფერი მოწმობა მიეცეს მას.

— 2 მარიობისთვეს დილის 3 საათზე, ბულაკოვსკის ბინაზი, ელისაბედის ქუჩაზე, შეიპყრეს სამი კაცს, რომელიც მობარგებული ნივთებით ისისა-იყო უნდა წაეღოთ. ამ დროს სრულებით შეეთხვევით მინავალა პატრული — შეუჭნეფია ეს ა ბავ დაუჭერია სამთავე. დახეთ უბედურებას ვინ აღმოჩენილან შეპყრობილნი!

1) სამსახურში მყოფი გოროდოვი სამსონოვი, გადაცმულ ტანისამოსში, 2) გოროდოვათ ნამყოფი რაფდენ-ჩუკ, 3) მეეზოვე გლავაცკი.

— არქეოგრაფიულ კომისიის თავმჯდომარე, ყოფილ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს მიხაილოვს ნამესტნიკისთვის წარუდგენია მოხსენება, სადაც სურვილს აცხადებს, კავკასიის ოლქის მზრუნველის თანამდებობის დაკავებაზე

— 2 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე, პუბლიკის ქუჩაზე საეკლესიო სახლში დაუჭერიათ მსახური ოსიპოვი. ოსიპოვი ბრალს სდებს დაჭრაზე თავისთანავე მსახურს ბავშვს ელბარაშვილს.

— როგორც შევიტყვეთ ერთი ახალი „საზოგადოებაც“ მოპატებია თბილისს. ამ საზოგადოების თავის მიზნათ დაუსახავს დასაფლავება გარდაცვალებულ „მართლმადიდებელ-ქრისტიანებისა. მონაწილეობას იღებს სხვათა შორის ეპისკოპოსი პეტრეც. საზოგადოებას მისაღებ საყდარში ჰქონია ამ დღეებში კრება.

— მარიობისთვეს კოჯორიდან თბილისში დაბრუნდა ნამესტნიკი.

— როგორც გვიგეთ ქართლში მოუკლავთ ალის საზოგადოების სოფლის მწერალი ვანო ამირაჯიბი.

შეცდომის გასწორება: ჩვენ „ცხეთის გუშანდელ № -ის ფელეტონის მეექვსე სვეტის ბოლოში სწერია: „ტეგეისათვის გულის მიშვერა—მას ანშენებს;„ უნდა იყოს:—„მას არ ანშენებს.—სწერია აგრეთვე ფელეტონისავე მე-7 სვეტის თავში: „მეშამეულის, ქარხნის...“ უნდა იყოს: „შეშამეულის, მექარხნის და სხ.

რუსეთი

—

დეპეშამ გვაცნობა, რომ ოდესაში თავი მოიკლა თამარა პრინცმა. განსვენებული გენერლის ქალი იყო. მისი მამა მსახურობს ვარშავის სამხედრო ოლქში, დივიზიის უფროსად. რედიკულში შემთხვევით ყუმბარა გასქდა, რომელიც მომზადებული იყო, ოდესსის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის გენერალ კულბარსისათვის.

თამარა პრინციპებ ბევრი ხანი ცხოვრობდა კავკასიაში. 1904 წელს იგი მსახურობდა ამირ კავკასიის რკინის გზების სახელმწიფო კონტროლში. 1905 წლის ბოლოს მან თავი გაანება სამსახურს და წავიდა

რება შესდგება „თეზისა, ანტითეზისა და სინთეზისაგან“, ან და ხომ „უფლების მიზანია გამეფებული იქმნას სამართლიანობა, რომელიც არის უზენაეს იდეის განვითარება“, ან კიდევ, როცა მათ ეკითხებიან, როგორია მათი აზრით „ცხოვრების მიზანი“ —ისინიც მხოლოთ მხრებს იწრევენ და უკვირთ, რომ უტყუარ მეცნიერებათა ეხლანდელ აყვავების დროსაც კი ყოფილან ისეთი ადამიანები, რომელთაც ვერ უღალატნიათ ამგვარ „სიტყვა-ა“ რწმენისთვის და რომელნიც ჯერ კიდევ თავის აზრს გამოსთქვამენ პირველყოფილი ანთროპომორფიზმის ენაზე (ანთროპომორფიზმი არის ისეთი წარმოდგენა, თითქო ბუნებას განაგებს ადამიანის მსგავსი რაღაცნაირი არსება). მაღალი სიტყვების მათ არ ეშინიათ რადგან იციან, რომ ასეთი სიტყვებით მალავენ უვიცობას—დაუმთავრებელ გამოკვლევას—ან და კიდევ უარესი, უბრალო ცრუმორწმუნეობას. ამიტომ ისინი ამაგს გვერდს უხვევენ და განაგრძობენ თანამედროვე და წარსულ საზოგადოებრივ ცნებათა და დაწესებულებაია შესწავლას. ამასთანავე ისინი რასაკვვრველია, პოულობენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ბევრათ უფრო რთულია და ბევრათ უფრო საინტერესოა პრაქტიკული მიზნებისთვის, ვიდრე იგი გამომდინარეობს ამგვარი ფორმულებისგან.

ჩვენ ბევრჯელ გვსმენია უკანასკნელ ხანებში „დიალექტიკური მეთ დის“*) შესახებ, რომელსაც გვაწ-დებდენ სოციალისტური იდეალის დასასაბუთებლათ ჩვენ ასეთი მეთოდის არა გვრწამს რა, როგორც არა სწამს მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველებასაც. თანამედროვე ბუნებისმეტყველს „დიალექტიკური მეთოდი“ მოაგონებს დიდიხნის რაღაცა წარსულს, რომელიც უკვე მოსპამ მეცნიერებამ მეცხრამეტე საუკუნის აღმოჩენები მექანიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკურ ფსიხოლოგიაში, ანთროპოლოგიაში და სხვ. ნაყოფია არა დიალექტიკური მეთოდის, არამედ ბუნებრივ-მეცნიერული,—ინდუქტივურ დედუქტივური მეთოდის. და რადგანაც ადამიანი ბუნების ნაწილია და რადგანაც მისი „ფსიხიკური“ ცხოვრება, როგორც პირადი, ისე საზოგადო, ბუნების ისეთივე მოვლენაა, როგორიცაა ქვავილის ზრდა გინდა ჭიანჭველისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების გონებრივი განვითარება, არავითარი საბუთი არა გვაქვს გამოვიცვალოთ კვლევა-ძიების მეთოდი, როცა ჩვენ გადავდივართ ყვავილიდან ადამიანზე ან წავების მოსახლეობიდან ადამიანის მიერ აშენებულ ქალაქებზე.

ბუნებრივ-მეცნიერულმა მეთოდმა გამოიჩინა თავისი ძლიერება იმით, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, რიცა იხმარეს იგი მეცნიერებამ ბევრათ უფრო წაიწია წინ, ვიდრე წინა ორ საუკუნეში. და როცა ის იხმარეს ადამიანის საზოგადოებათა შესწავლის დროს, აბსოლუტად არ აღმოჩენილა ისეთი წერტილი, სადაც მას თავისი სისუსტე აღეარებინოს და აეძულებინოს მეცნიერები დაბრუნებოდნენ საშუალო საუკუნოების სქოლასტიკას, რომელიც მხოლოთ აბრკოლებდა მეცნიერებას. როცა ბუტლუაზიულმა ბუნების მეტყველებამ, რომლებიც ვითომ და ემყარებოდენ „დარვინიზმს“, იწყეს ქადაგება: დაჰკა ყველას, ვინც შენზე სუსტია: ასეთია ბუნების „კანონი“, ჩვენთვის ადვილი იყო დაგვემტკიცებია, რომ არ არსებობს არავითარი ასეთი კანონი; რომ ცხოვრების ცხოვრება გვასწავლის ჩვენ სულ სხვასა და რომ ამგვარი დასკვნა, სხვა რა არა იყოს რა, მეცნიერული არ არის, როგორც არ არის მეცნიერული, მაგალითად, იმის მტკიცება, ვითომც ქონებრივი უთანასწორობა ბუნების კანონი იყოს. გინდა კაპიტალიზმი—ადამიანთა საერთო ცხოვრებისათვის საუკეთესო ფორმა. სწორეთ ბუნებრივ-მეცნიერული მეთოდია ის, რომ შეძლებას გვაძლევს

---

*) ქართულად ხშირათ სწერენ ხოლმე: „დიალეკტიური მეტოდი“. რაიცა დიდი შეცდომაა, რადგანაც არსებითი სახელი „დიალექტიკა“ არის რომლისგანაც წარმოსდგება ზედ-შესრული სახელი „დიალექტიკური“, და არა „დიალექტიური“ აგრეთვე უნდა მოვიშოროთ რუსიციზმის გავლენა და ვწეროთ ისე, როგორც ქართულ ენას შეეფერება: „მეთოდი, და არა მეტოდი“. მთარგმანელი.

ბეტერბურგში; მაგრამ მალე ისევე თბილისში დაბრუნდა, მეიერხოლდის დრამატიულ დასში. (ოტგოლოსკი).

—

26 ივლისს, მოსკოვში მოხდა რაიონული კრებები მუშათა დეპუტატების საბჭოსი (რამდენიმე ხნის წინად, გარდა მთავარ მუშათა დეპუტატების საბჭოსი დაარსებულ იქმნა 11 რაიონული საბჭოები) რადგანაც პროვინციამ არ დაუჭირა ბარი გაფიცვას, ბეტერბურგში კი გადაწყვეტეს გაფიცვის მოსპობა; კომიტეტმა რაიონის საბჭოებმა გადაწყვეტეს, რომ მოსპობილ იქმნას გაფიცვა. ამის გამო, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, გ მოაცხადა გაფიცვა 27 ივლისს გათავებულად.

—

გუშინ შესდგა ინფორმაციონური პიუროს კრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან ხალხის თავისუფლებისა პარტიისაგან, გლეხთა, რკინის-გზებსა, პოსტა-ტელეგრაფის კავშირებისა და სხვანი..

გარდა სოციალ დემოკრატებისა, სხვა პარტიების და კავშირების წარმომადგენელებმა, გამოსთქვეს აზრი გაფიცვის უდროობის შესახებ.

(XX ვეკ).

—

გაფიცვის დღეებში, მოსკოვში დაპატიმრებულ იქმნენ 52 დეპუტ ტი. მოსკოვის გაზეთებს და სტამბებს გრადონაჩალნიკი ითხოვ ებ გადასახლებას სატახტო ქალაქიდგან. დაპატიმრებულთა შორის არიან დეპუტატები „მოს. ვედ." და „მოს. ლის." გაზეთებისა.

(XX ვეკ.)

—

სადგურ უდელნიზე, გრუშკოს სახლში, შეიკრიბნენ 22 რევოლიუციონერი, რომელნიც დაბრუნდნენ ტერიოკიდგან; შენიშნეს თუ არა მათ ყაზახები გაიქცნენ იქვე ახლო მდებარე სოფელში, მაგრამ პოლიცია დაეწია მათ. ბოქაულის სიტყვით იმათ ესროლეს სამჯერ, მაგრამ ვერ მოახვედრეს. ყველანი შეიპყრეს. იმათ სთქლიან რევოლიუციონურ მოძრაობის წინამძღოლებათ.

(რუსსკია ვედომოსტი).

—

მოსკოვის გუბერნატორი ჟუკოვსკი წავიდა პავლოვში, საიდანაც მიიღო ცნობა, რომ ვითომ მცხოვრებლები ქალაქ გარედ მინდორში სწავლობდნენ სროლას და წესრიგიან სამეფერო ვარჯიშობას.

(XX ვეკ.)

—

„XX ვეკ."-ის სიტყვით, გადაწყვეტილია არ გაუქმონ დროებითი სგენერალ - გუბერნატორო 1906 წლის განმავლობაში.

—

ხმები, ვითომ გაანთავისუფლეს დაპატიმრებისაგან ჟანდარმი ზაპოლსკი, რომელზედაც ექვი მიიტანეს გერცენშტეინის მოკვლაში, ტყუილი გამოდგა.

(რუსსკია ვედომოსტი)

პროვინცია

—

დაბა აბაშა. 26 ივლისს აბაშაში შემდეგი მკვლელობა მოხდა. მოჭალეს პრისტავი და ფოსტის განყოფილების მოხელე კ. გაჩჩილაძე, მკვლელობა მოხდა ამგვარად: ხუთშაბათს საღამოს როცა პრისტავი ჩაის შეექცეოდა თავის ოჯახობასთან ერთად, ოთხი თუ ხუთი შეიარაღებული კაცები მივიდნენ პრისტავის სახლის კარებთან, ერთი იმთგანი ბალკონზედ ავიდა, სადაც პრისტავი იყო, დაუპირდაპირდა პრისტავს თუ არა, წინ ქალი შეხვდა, მაგრამ ქალი ხელიდგან მოიშორა და პრისტავს რამდენჯერმე დაახალა რევოლვერი გულში; პრისტავი იქვე გარდაიცვალა. მკვლელები გაიფანტნენ; ორი სადგურისკენ გაიქცნენ. ამ რევოლვერის ხმაზე მოირბინეს იქვე მახლობლათ მდგომმა სტრაჟნიკებმა; პრისტავი გადაცვალებული დახვდათ და მკვლელები რომ ვერ დაინახეს გაისროლეს რამტენჯერმე ჯერ თოფები. ამ დროს სადგურის დამცველმა სალდათებმა ოფიცრის ავაზაკები და აქეთ თოფებს ისვრიანო, შეშინებულებმა სადგურიდგან გამოისროლეს თოფები, და აი ამ დროს კარებთან ყოფილიყო ფოსტალიონი და სტოროჟი, ორი სტრაჟნიკიც, რომლებსაც ფოსტა უნდა მიეღოთ მატარებელზე და სალდათების გამოსროლილი ტყვია მოხვედრია ფოსტალიონს მუცელში და სასიკვდილოდ დაუჭრია. აი სწორედ უბრალო მსხვერპლი ტყვიისა. პირველი მატარებელითვე წაიყვანეს თბილისში მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა რაც ფოსტის უფროს ამცნეს დეპეშით.

მშვიდობით დაუვიწყარო ამხანაგო, უმანკო მსხვერპლო...

შენი ამხანაგები ერთობ ცხარე ცრემლს ღვრიან, პატრონსებით სავსე და კეთილი ამხანაგი დავკარგეთო; ვინ იცის ამხანაგო რა მებრძოლი ამხანაგი და რა სასახელო კაცი იქნებოდი სამშობლოსათვის. არა ამხანაგო არ დაგაცალა ვერანმა ტყვიამ, გაგგზავნა შენი უმანკო გული და გამოგასალმა ძვირფას მშობლებს; რას ეტყვი შენს მშობლებს ან ამხანაგებს როცა ისინი გნახავენ გაქვავებულს? შენ ვერას ეტყვი, ჩ ისინი კი ეტყვი ნ რომ შესწირე თავი, მონობაში, დალიე უმანკო სული; ტანჯულმა ცხოვრებამ და მონურმა აღზრდამ გაიძულა, მოგაშორა დედ მამას, ამხანაგებს მაგრამ ამხანაგო მოწობასაც მოელება ბოლო და მაშინ ჩამოგძახენენ საფლავში ეხლა გაიხარე რადგან ის მონობა რომელმაც შენ გამოგიცხა ცხოვრებიდგან თვით იქმნა გამორიცხული; მაშინ ვგონებ თავისუფლებისათვის მცდარებიც-კი აღსდგენ საფლავიდან.

მიშა გურული.

ნერილი რედაქციის მივართ.

—

მაწყალო ხელმწიფეო;)
ბატონო რედაქტორო!

ღმორჩილესად გთხოვთ ადგილი უბოლოთ თქვენს გაზეთ „მუშა"-ში, ამ ჩემ შენიშნას, რომელიც გამოიწვია თქვენი გაზეთის მე-30 ნომერში მოთავსებულმა რეცენზიამ დ. სამტრედიიდამ გიორგი უგულავას სიკვდილზე.

30 ივნისს, მე მივიდე სამტრედიაში პარკის მყიდველ გუსეინოვისაგან ბარათი, რომელშიაც მწერდა, 1 ივლისისათვის ვახშამზე მეწვიო. მე წავედი 2 ივლისს, ღამის პირველ საათზე და თან გავიყოლე ერთი „გოროდოვოი" დაბა სამტრედიისა მინა პაპავა.

გიორგი უგულავაც იქ დაჭიხვდა.

*) მიუხედავათ წერილის შემოკლებისა, წერილი მაინც დიდი გამოდგა.

რედ. შენიშნა.

დაამტკიცოთ, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა „კანონები", მათ რიცხვში პოლიტიკური ეკონომიის „კანონებიც" სრულიათ არ არიან კანონები, არამედ უბრალო მოსაზრებანი, ან და სრულიათ შეუმოწმებელი და მასთან ლიტონი მტკიცება.

ყოველი გამოკვლევა მხოლოთ მაშინ არის ნაყოფიერი, როცა მას აქვს გარკვეული მიზანი: როცა უნდათ მიიღონ პასუხი გარკვეულ, წერილთ დაყენებულ კითხვაზე. და ეს მით უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო ცხადი და სწორია კავშირი შესასწავლ კითხვასა და მის მდგომარეობის შორის საყოველთაო, ფართო მსოფლიო მხედველობის სქემაში. კითხვა, რომელსაც სვამს ანარქიზმი, შეიძლება გამოითქვას ასე: საერთო ცხოვრების რა და რა ფორმები უზრუნველყოფენ ამა თუ ამ საზოგადოებაში და შემდეგ ადამიანთა საზოგადოებაშიც, ბედნიერებას და, მაშასადამე, სიცოცხლის ტკბილ სუმას (ჯამს)?"—„საერთო ცხოვრების რა და რა ფორმები ეს საჭირო, რომ ბედნიერების ეს სუმმა გაიზარდოს და განვითარდეს როგორც რაოდენობით, ისე თვისებითაც,—ე. ი. გახდეს უფრო სრული და მრავალფეროვანი?" (რაისაგანაც, შევნიშნავ გაკვრით, გამომდინარეობს პროგრესის განმარტებაც). სურვილი იმისა, რომ ასეთი სახე და მიმართულება მიიღოს მოძრაობამ და მისთვის ხელის შეწყობა განსაზღვრავს კიდევაც ანარქისტის მეცნიერულსა და საზოგადო მოღვაწეობას.

XIII

როგორც ვამბობდით ამ წერილის დასაწყისში, ანარქიზმი არის პრაქტიკული ცხოვრების ნაკარნახევი.

გოდვინი, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მომსწრე (1789—1793), თვითონ ხედავდა, თუ როგორ გადაიქცა რევოლიუციის დროს შემდგარი სახელმწიფო მთავრობა რევოლიუციონურ მოძრაობის შემაფერხებელ მუხრუჭათ. მან იცოდა აგრეთვე, თუ რა ხდებოდა მაშინ ინგლისში პარლამენტის მფარველობით (ძარცვავდენ სათემო მიწებს, ქარხნის ნოქრები იტანჯებდენ ღარიბ ბავშვებს მუშათა სახლებიდან და ჰგზავნიდენ მათ მოსაკლავათ საფეიქრო ქარხნებში და სხვ). ის მიხვდა, რომ ერთი და განუყოფელ იაკობინური რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლია მოახდინოს საჭირო რევოლიუცია; რომ რევოლიუციონურ მთავრობასაც კი, რომელიც იცავს სახელმწიფოს, აფერხებს განვითარებისუფლებას; რომ რევოლიუციის გასამარჯვებლათ ადამიანებმა პირველ ყოვლისა უნდა უარყონ ის რწმენა, თითქო ჩვენი ხსნა იყოს უფლებაში. მთავრობაში, ერთფეროვნებაში, წესრიგიანობაში, საკუთრებაში, მათ აგრეთვე უნდა ჩასწიხლონ ყველა სხვა ცრუმორწმუნეობანიც, რომლებიც გვიანდერძა ჩვენ წასრული ყრუ დროისაგან.

გოდვინის შემდეგ ანარქიზმის თეორეტიკოსმა პრუდონმა თვით გამოსცადა თავის მხრივ 1847 წლის რევოლიუცია და თავის თვალით დარწმუნდა იმ საძაგელ და უგვანო მოქმედებაში, რომელიც ჩაიდინა რევოლიუციონურმა რესპუბლიკანურმა მთავრობამ, დარწმუნდა აგრეთვე ლუი-ბლანის სახელმწიფოებრივ სოციალიზმის უძლურებაში. მომხდარ ამბების შთაბეჭდილების ქვეშ მან დასწერა თავისი შესანიშნავი თხზულება: „საზოგადო წარმოდგენა სოციალურ რევოლიუციაზე", სადაც აღიარა სახელმწიფოს დანგრევა და მოსპობა და აღამაღლა ანარქია.

და, ბოლოს, მუშათა საერთაშორისო კავშირში (ინტერნაციონალში) წარმოდგენა ანარქიის შესახებ ამოატივტივა ცხოვრებამ აგრეთვე რევოლიუციის შემდეგ, ესე იგი პარიზის კომმუნის (1871 წ.) შემდეგ. კომმუნის ამორჩეულ საბჭოს სრულმა რევოლიუციონურმა უძლურებამ (საბჭოში შედიოდენ პროპორციონალურად ყველა მაშინდელ რევოლიუციონურ ფრაქციების წარმომადგენლები: იაკობინელები, ბლანკისტები და ინტერნაციონალის წევრები), აგრეთვე ინტერნაციონალის ლონდონის გენერალურ საბჭოს უძლურებამ, რომელსაც ჰქონდა სრულიად სულელური და საზიანო სურვილი — განეგო პარიზის აჯანყება — თვალ-

. . ყოველ მის გასვლაზე შეიქნებოდა ლაპარაკი რომ ის მოუპატიჟებელი სტუმარიაო, და ამასთანავე, როგორც იქ მყოფთ ეტყობოდათ, უგულავას იქ ყოფნა უსიამოვნოთ ეჩრჩებოდათ. თავათ მასპინძელმაც სთქვა რომ უგულავა მოუპატიჟებლად სწვეოდა მას.

დილის სამი საათი იყო უგულავამ გარედგან დაბრუნდა და საზოგადოდ დაგვემშვიდობა სახლში წასასვლელად. რამოდენიმე წუთის შემდეგ თამადა წამოდგა სადღეგრძელოს გასაგრძობად და შემდეგი სიტყვები დაატანა: „რადგან ამ უგულოვასგან განთავისუფლდით აწი უფრო ტკბილად გავატარებთ დროს“. არ გასულა ხუთი-ათი წუთი ამ სიტყვების შემდეგ, ყველა სტუმრები გაოცებული ფეხზე წამოდგნენ და დაიყვირეს: „რევოლვერი“! „რევოლვერი!“ და ყველამ თვალები ძე მომაპყრეს. რადგან წინ საშიშ ვერაფერს შეეხედე, უკან მოვიხედე, სადაც დავინახე უგულავა ჩემზე მომიზნებული რევოლვერით, დაუყონებლივ დავიხარე, ჩემი წაღის ყელს ვეცი, სადაც ჩვეულებისამებრ ვინახავდი რევოლვერს, მაგრამ საუბედუროთ თუ საკეთილოდ რევოლვერი ვეღარ ვნახე; ასე უცბათ არ მომაგონდა თუ ვახშმის დაჯდომისას რევოლვერი წაღის ყელიდგან ამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე. დახრის დროს უგულავას რევოლვერი გავარდა, მარჯვენა ყურთან გამიარა და მის მახლობლად, ცოტა ბალანიც შერუჯა. მეორეთ დამზნებულ რევოლვერს დაცლისათანავე ვეტაკე. უგულავამ თითქის უწინაც მდეგოთ შემატოვა ხელში რევოლვერი, და, რადგანაც რევოლვერის ლულა ძალზე ცხელი იყო და ხელი დამწვა იქვე დავაგდე. უგულავა გაიქცა ყანებისაკენ. ეს უკანასკნელი მეორე ტყვია ჩემთან გვერდში მდგარ გოროდოვოის მეუხვდა მუცელში და თითზე. გოროდოვოიმ იყვირი, რომ მომკლაო და წაიქცა; მასპინძელმაც შეხედა თუ არა ქაცი დაეცა, იყვირა: «убили»-ო! მეც დავიყვირე: არიქა უშველეთ, ეს ხომ მოკვდა, მკვლელს მაინც ნუ გაუშვებთმეთქი; მასპინძლის ყვირილზე მისი პარკის ყარაულები—თათრები დაედევნენ. მე ამ დროს დაჭრილ გოროდოვოის უვლიდი. რამოდენიმე წუთის შემდეგ მოვარდა ერთი ყარაულთაგანი — თათარი, მოიკითხა თავისი ხაზეინი გუსეინოვი, რომელიც, როგორც ეტყობოდა მკვდარი ეგონა და სთქვა: „უგულავა მოკალიო.“ ამასთანავე დასძინა: ხაზეინი, რომ მკვდარი ან დაჭრილი მენახა აქედგან ერთი სტუმართაგანი ცოცხალი აღარ წავიდოდა“.

მე ჩემი რევოლვერი მოვიძიე მაშინ, როცა დაჭრილი ავიყვანე და ტახტზე დავაწვინე იმ დროს მოვიდა ჩემთან ერთი სტუმართაგანი ქალი და მითხრა: „ამ დაჭრილს ჩვენ მოუვლით, მხოლოდ შენ შენს თავს უშველე, სადმე დაიმალე, თორემ უგულავა შორს არ იქნება წასული, დაბრუნდება და მოგკლავსო. მერმეთ მე ჩემი ხმალიც მოვითხოვე რომელიც ოთახში ჰქონდა მასპინძელს შენახული, და დაჭრილი პაპავა სახლში წავიყვანე.

მაშასადამე თქვენი გაზეთის 30 ნომერში მოთავსებული წერილი სამტრედიიდგან: „როგორც სამტრედიიდგან გვატყობინებენ ადგილობრივ პრისტავის შავგულიძის მხლებლებმა მოჰკლა თავისი „ბატონის“ თვალის წინ გ. უგულავა 25 წლის ყმაწვილი, კაცი“, აშკარა სიცრუეა, რადგანაც მე მხოლოდ ერთი გოროდოვოი პაპავა მახლდა, რომელიც უგულოვამ მძიმეთ დასჭრა მუცელში და თითში; დაჭრილი იქვე დაეცა და არც მე მოვშორებივარ მას. უგულავა მოჰკლა გუსეინოვის პარკის ყარაულმა, თათარმა რომლის გვარი დღესაც არ ვიცი. დაშორებით იმ ადგილიდან სადაც მე რევოლვერი მესროლა, — ორმოცი საჟენის მანძილზედ, როგორც მკვლელმა ჩვენებაში აღვიარა მას ეგონა თუ უგულავამ მოჰკლა თვით მისი ხაზეინი გუსეინოვი და იმიტომ დაედევნა მას უგულავა მოკვდა დილის მეოთხე საათზე, ხოლო მე იმისი სიკვდილი დამაჯერა ჩემგან გასაგებათ გაგზავნილმა გაბო ბალანჩივაძემ, საათის ცხრაზე, ორ ივლისს.

უმორჩილესად ვსთხოვ, სხვა გაზეთების რედაქტორებს გადაბეჭდოთ თქვენს გაზეთებში, ნამდვილი სიმართლე ამ საქმის შესახებ, რადგანაც სხვა და სხვა ძოქმა-მოთქმა გავრცელებულია ხალხში.*)

დაბა სამტრედიის ბოქაულ
ე. შავგულიძე.

*) იმედია კორესპონდენტი პასუხს მოგვაწვდის. რედ. შენ.

ДЕПЕШЕБІ

(რუსეთის დეპეშათა საგენტო).

პეტერბურგი „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ბრძანება, რომ დაარსებულ იქმნას სამხრეთ სამთო-საქარხნო რაიონში დროებით საგენერალ-გუბერნატორო, რომელსაც დაემორჩილებიან ბახმუტის, მარიოპოლის და სლავიანო-სერბსკის მაზრები და აგრეთვე ტაგანროგის ოლქი. სამყოფი ადგილი გენერალ-გუბერნატორისა იქმნება იუზოვკა.

ეკატერინოსლავი. საღამოს 6 საათზე გასქდა ყუმბარა, დაჭრილია ორი.

პეტერბურგი. 77 გუბერნიიდგან და ოლქიდგან, 40 გამოცხადებულია საომარ დროის წესები, 27 საგანგებო და 15 გაძლიერებული დაცვის წესები, მხოლოდ ხუთ გუბერნიაში არის ნორმალური წესები.

— „XX ვეკ.“ შეიტყვნეს.

ვლოცლავსკი. 9 საათზე დილით პოლიციის მართველობასთან მოჰკლეს რევოლვერი ვლოცლავსკის პოლიციმეისტერი მელნოვიჩი. იმავე დღეს მოჰკლეს საერობო დარაჯების უფროსი პეტროვი თავის ბინაზედ.

იაროსლავი. დიდ იაროსლავის მანუფაქტურაში მოხდა მიტინგი, რომელზედაც დაესწრენ რამოდენიმე ათასი მუშა. ქარხნის ეზოში დაბანაკებულია ერთი როტა ჯარი წესრიგი არ დარღვეულა.

ორიოლი. ელეკციის ციხიდგან გაანთავისუფლეს 15 პოლიტიკური დამნაშავენი. ხელმეორედ დააპატიმრეს აგიტატორები კეჩნიკი და ვასილიევი.

ვარშავა. მესამე ნაწილში, გაისროლეს ორი ყუმბარა. დაჭრილია 4 პოლიციელი. რიბაკში დასჭრეს 2 პოლიციელი. მეშვიდე ნაწილში მოჰკლეს პოლიციელი. მეოთხე ნაწილში მოჰკლეს უბნის ზედამხედველი.

ლოძი. გაისროლეს ყუმბარა. მესამე პოლიციის ნაწილი იწვის. სროლაა ქალაქში.

ასტრახანი. ციხეში დაპატიმრებულ კატორჟნიკებმა მოახდინეს არეულობა. დამტვრიეს 19 კამერა.

რედაქტორ გამომცემელი
ციხეილ ლიასამიძე.

. . ყოველ მის გასვლაზე შეიქნებოდა ლაპარაკი რომ ის მოუპატიჟებელი სტუმარიაო, და ამასთანავე, როგორც იქ მყოფთ ეტყობოდათ, უგულავას იქ ყოფნა უსიამოვნოთ ეჩრჩებოდათ. თავათ მასპინძელმაც სთქვა რომ უგულავა მოუპატიჟებლად სწვეოდა მას.

დილის სამი საათი იყო უგულავამ გარედგან დაბრუნდა და საზოგადოდ დაგვემშვიდობა სახლში წასასვლელად. რამოდენიმე წუთის შემდეგ თამადა წამოდგა სადღეგრძელოს გასაგრძობად და შემდეგი სიტყვები დაატანა: „რადგან ამ უგულოვასგან განთავისუფლდით აწი უფრო ტკბილად გავატარებთ დროს“. არ გასულა ხუთი-ათი წუთი ამ სიტყვების შემდეგ, ყველა სტუმრები გაოცებული ფეხზე წამოდგნენ და დაიყვირეს: „რევოლვერი“! „რევოლვერი!“ და ყველამ თვალები ძე მომაპყრეს. რადგან წინ საშიშ ვერაფერს შეეხედე, უკან მოვიხედე, სადაც დავინახე უგულავა ჩემზე მომიზნებული რევოლვერით, დაუყონებლივ დავიხარე, ჩემი წაღის ყელს ვეცი, სადაც ჩვეულებისამებრ ვინახავდი რევოლვერს, მაგრამ საუბედუროთ თუ საკეთილოდ რევოლვერი ვეღარ ვნახე; ასე უცბათ არ მომაგონდა თუ ვახშმის დაჯდომისას რევოლვერი წაღის ყელიდგან ამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე. დახრის დროს უგულავას რევოლვერი გავარდა, მარჯვენა ყურთან გამიარა და მის მახლობლად, ცოტა ბალანიც შერუჯა. მეორეთ დამზნებულ რევოლვერს დაცლისათანავე ვეტაკე. უგულავამ თითქის უწინაც მდეგოთ შემატოვა ხელში რევოლვერი, და, რადგანაც რევოლვერის ლულა ძალზე ცხელი იყო და ხელი დამწვა იქვე დავაგდე. უგულავა გაიქცა ყანებისაკენ. ეს უკანასკნელი მეორე ტყვია ჩემთან გვერდში მდგარ გოროდოვოის მეუხვდა მუცელში და თითზე. გოროდოვოიმ იყვირი, რომ მომკლაო და წაიქცა; მასპინძელმაც შეხედა თუ არა ქაცი დაეცა, იყვირა: «убили»-ო! მეც დავიყვირე: არიქა უშველეთ, ეს ხომ მოკვდა, მკვლელს მაინც ნუ გაუშვებთმეთქი; მასპინძლის ყვირილზე მისი პარკის ყარაულები—თათრები დაედევნენ. მე ამ დროს დაჭრილ გოროდოვოის უვლიდი. რამოდენიმე წუთის შემდეგ მოვარდა ერთი ყარაულთაგანი — თათარი, მოიკითხა თავისი ხაზეინი გუსეინოვი, რომელიც, როგორც ეტყობოდა მკვდარი ეგონა და სთქვა: „უგულავა მოკალიო.“ ამასთანავე დასძინა: ხაზეინი, რომ მკვდარი ან დაჭრილი მენახა აქედგან ერთი სტუმართაგანი ცოცხალი აღარ წავიდოდა“.

მე ჩემი რევოლვერი მოვიძიე მაშინ, როცა დაჭრილი ავიყვანე და ტახტზე დავაწვინე იმ დროს მოვიდა ჩემთან ერთი სტუმართაგანი ქალი და მითხრა: „ამ დაჭრილს ჩვენ მოუვლით, მხოლოდ შენ შენს თავს უშველე, სადმე დაიმალე, თორემ უგულავა შორს არ იქნება წასული, დაბრუნდება და მოგკლავსო. მერმეთ მე ჩემი ხმალიც მოვითხოვე რომელიც ოთახში ჰქონდა მასპინძელს შენახული, და დაჭრილი პაპავა სახლში წავიყვანე.

მაშასადამე თქვენი გაზეთის 30 ნომერში მოთავსებული წერილი სამტრედიიდგან: „როგორც სამტრედიიდგან გვატყობინებენ ადგილობრივ პრისტავის შავგულიძის მხლებლებმა მოჰკლა თავისი „ბატონის“ თვალის წინ გ. უგულავა 25 წლის ყმაწვილი, კაცი“, აშკარა სიცრუეა, რადგანაც მე მხოლოდ ერთი გოროდოვოი პაპავა მახლდა, რომელიც უგულოვამ მძიმეთ დასჭრა მუცელში და თითში; დაჭრილი იქვე დაეცა და არც მე მოვშორებივარ მას. უგულავა მოჰკლა გუსეინოვის პარკის ყარაულმა, თათარმა რომლის გვარი დღესაც არ ვიცი. დაშორებით იმ ადგილიდან სადაც მე რევოლვერი მესროლა, — ორმოცი საჟენის მანძილზედ, როგორც მკვლელმა ჩვენებაში აღვიარა მას ეგონა თუ უგულავამ მოჰკლა თვით მისი ხაზეინი გუსეინოვი და იმიტომ დაედევნა მას უგულავა მოკვდა დილის მეოთხე საათზე, ხოლო მე იმისი სიკვდილი დამაჯერა ჩემგან გასაგებათ გაგზავნილმა გაბო ბალანჩივაძემ, საათის ცხრაზე, ორ ივლისს.

უმორჩილესად ვსთხოვ, სხვა გაზეთების რედაქტორებს გადაბეჭდოთ თქვენს გაზეთებში, ნამდვილი სიმართლე ამ საქმის შესახებ, რადგანაც სხვა და სხვა ძოქმა-მოთქმა გავრცელებულია ხალხში.*)

დაბა სამტრედიის ბოქაულ
ე. შავგულიძე.

*) იმედია კორესპონდენტი პასუხს მოგვაწვდის. რედ. შენ.

აუხილა ბევრს. მათ დააფიქრეს ინტერნაციონალის მრავალი წევრი, მათშორის მიხეილ ბაკუნინიც, იმ ზარალზე, რომელიც მოაქვს მთავრობას საზოგადოთ, თითქმის იმისთანა მთავრობასაც, როგორიც იყო თავისუფლათ არჩეულ კომმუნაში და მუშათა საერთაშორისო კავშირში. ლონდონის გენერალურ საბჭოს გადწყვეტილებას კი 1871 წლის ფარულ კონფერენციაზე, — უნდოდათ მთელი მუშათა მოძრაობა შეეტრიალებიათ სხვა მხრისაკენ და გადაეტანათ იგი ეკონომიურ-რევოლიუციონურ მოძრაობიდან (მუშათა კავშირების პირდაპირი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ) საარჩევნო-პარლამენტარულ მოძრაობად,—მოჰყვა ინგლისის, ესპანიის, იტალიისა და ზოგ ნაწილთ ბელგიის მუშათა, კავშირების (ფედერაციების) აშკარა აჯანყება ლონდონის გენერალურ საბჭოს წინააღმდეგ.

მაშასადამე, ანარქისტული მოძრაობა ყოველთვის იწყებოდა, პრაქტიკულ გაკვეთილების ანუ პრაქტიკულ სწავლების გამო. მაგრამ დაუყოვნებლივ ამის შემდეგ ის ეძებდა თავის თეორეტიკულს, მეცნიერულ დასაბუთებასაც.

*
* *

არავითარი ბრძოლა არ იქნება ნაყოფიერი, თუ ის არის შეუგნებელი და თუ არ გაუწევს ნათელს ნივთიერ (კონკრეტულ) ანგარიშს თავის მიზანს. არსებულის არავითარი დანგრევა არ არის შესაძლებელი, თუ უკვე თვით დანგრევის დროს, ან დანგრევისთვის ბრძოლის დროს. არა აქვთ გონებაში დასურათხატებული ის, რაც უნდა აშენდეს ძველის ნანგრევებზე. არსებულის მწერლობითი კრიტიკაც თითქმის შეუძლებელია, თუ მოკრიტიკეს თავში არ ეხატვის ცოტათ თუ ბევრათ უფრო ნათლათ იმის სურათი, თუ რა ჰსურს მას არსებულის მაგიერათ. შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, საზოგადოებრივ დაწესებულებათა ყველა კრიტიკოსს ეხატვის გონებაში რაღაცა მშვენიერის იდეალი.

მით უმეტეს აქვს იგი მოქმედების ადამიანს. რომ ასეთ ჰანგებზე ვუგალობოთ ადამიანებს: „მოდი ჯერ დავსცეთ თვითმპყრობელობა ანუ კაპიტალიზმი, შემდეგ კი გავარჩიოთ, თუ რას დავუთმოთ მათი ადგილი“,—ეს იმას ნიშნავს, რომ მოვატყუოთ თავიცა და სხვებიც; მოტყუებით კი, როგორც ვიცით, ვერ შეექმნით ძალას. თვითონ იმას, ვინც ასე ამბობს, უსათუოთ აქვს ამა თუ იმ გვარი წარმოდგენა იმაზედ, თუ რა დაიჭერს დანგრეულის ადგილს. როცა მუშაობენ, ესთქვათ თვითმპყრობელობის დასანგრევათ, ერთი უსათუოდ ფიქრობს ინგლისის და ან გერმანიის კონსტიტუციაზე, მეორე ოცნებობს რესპუბლიკაზე, რომელიც უნდა დაექვემდებაროს თავის წრის ძლიერ დიქტატურას, ან უნდა აშენდეს საფრანგეთის რესპუბლიკა—იმპერიის გეგმაზედ, ან და უნდა უახლოვდებოდეს ამერიკის, ანუ შვეიცარიის ფედერალიზმს, მესამე, დაბოლოს, მიისწრაფის სახელმწიფო უფლობის კიდევ მეტი შემოფარგვლისაკენ, მიილტვის იქითკენ, რომ კიდევ მეტი თავისუფლება მოიპოვონ ქალაქებმა. თემებმა, მუშათა კავშირებმა და ყველა სხვა ჯგუფებმა, რომლებიც შეერთებული და შეკავშირებული იქმნებიან ნებაყოფლობითი შეთანხმებით.

ამნაირათ, ყოველ პარტიას შეუმუშავდა მომავლის იდეალი, რომლითაც ის აფასებს საზოგადოთ ცხოვრების ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ მოვლენებს, აგრეთვე მოქმედების ხასიათს (ტაქტიკას). შეუმუშავდა იდეალი ანარქიზმსაც, და ამ იდეალით ის გამოეყო, როგორც თავისი მიზნებით, ისე ბრძოლის საშუალებითაც, ყველა სხვა პოლიტიკურ პარტიებს, აგრეთვე ზოგ ნაწილათ სოციალისტურ პარტიებსაც, რომელთაც კიდევ შერჩართ სახელმწიფო წესწყობილების რომაული და ეკლესიური ძველი იდეები.

ენ—შინ.

(გაგრძელება იქნება).

ედექტრონის სტამბა „ბუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ. ასნაურობისა.